დადგენილება:**დ-31. 3125358001**
თარიღი:**24/12/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2025 წლის 24 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. **„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში** (ვებგვერდი, 30/07/2025 სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016574) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.”

2. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2

დამტკიცდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს” დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.”

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი